

# ბავშვთა რთული ქცევის გაუმჯობესება

ცირა ქურხული

ნინო ცუცქერიძე

სტელა ტუფურია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების პროგრამა (სკოლის მიმართულება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## განაცხადი

*“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესებისშესაბამისად“*

26.06.2017

## აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევა. კვლევის ფარგლებში მოხდა პედაგოგების მიერ დასახელებული პრობლემის შესწავლა და არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების გზით, პრობლემის შემცირების მეთოდების შემუშავება.

პრობლემა რომელზეც ჩატარდა კვლევა იყო ერთ-ერთი მოსწავლის რთული ქცევა, რომელიც მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას.

კვლევის ფარგლებში, პრობლემური საკითხის შესახებ მონაცემთა შეგროვება თვისებრივი კვლევის სხვადასხვა მეთოდების საშუალებით მოხდა. ამის შემდეგ, დამუშავდა მონაცემები, დაიგეგმა და განხორციელდა გარკვეული ინტერვენციები, რომლებიც მიმართული იყო დასახელებული პრობლემური საკითხის შემცირებისაკენ და არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისაკენ.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** მოსწავლეთა რთული ქცევა, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, პრაქტიკული კვლევა.

## **Abstract**

In the work is presented a practical research which is implemented one of the Tbilisi's public schools. Within the scope of the survey, the problem was identified by the teachers and the methods of reducing the problem by improving the existing practice.

The problem was that the study was a complicated behavior of one of the pupils, which significantly prevented the completion of the task process.

Within the scope of the study, data collection on the problematic issue was carried out through various methods of qualitative research. Afterwards the data was processed, planned and implemented some interventions aimed at reducing the problematic issues and improving the existing practice.

**Main search keywords:** Difficult behavior of pupils, teachers, school administration, practical research.

## მადლობა

მადლობას ვუხდით თითოეულ იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო აქტიურად ჩვენი კვლევის პროცესში. მათი დახმარება და მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო კვლევის განხორციელებისათვის.

მადლობას ვუხდით კვლევის კომისიის წევრებს: ქეთი ცალუღელაშვილს, ქეთი კოსტავას, თინათინ რურუას, ლელა მუქთიაშვილს. ასევე სკოლის ყოფილ დირექტორს მაგდა ბარამიძეს და ამჟამინდელ დირექტორს კარინა ბერძენიშვილს.

მადლობას ვუხდით განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის წევრს ნინო მადრაძეს ინტერვენციის ფარგლებში ჩატარებული სამუშაო შეხვედრისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს გიორგი გახელაძეს, რომელიც კვლევის საწყის და მიმდინარე ეტაპზე გვაძლევდა მითითებებს, რეკომენდაციებს და გვეხმარებოდა კვლევის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში.